პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 173 (19315) კვირა, 28 ივლისი, 1985 წელი ფასი 3 კაპ.

ახალგაზრდობის, მშვიდობის, მეგობრობის დღესასწაული

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მოსკოვის XII მსოფლიო ფესტივალის საზეიმო გახსნა

მშვიდობისა და მეგობრობის სიმღერები კიდით-კიდემდე სწვდება მოსკოვს სადღესასწაულოს, გაახალგაზრდავებულს, თითქოსდა გამოვლილი არ ჰქონოდეს მრავალსაუკუნოვანი ისტორია. დღეს იგი პლანეტის ახალგაზრდობის დედაქალაქია. მისი სრულუფლებიანი წარმომადგენლნი ყველა კონტინენტის ახალგაზრდობის წარმოგზავნილნი შეიკრიბნენ მოსკოვში, რათა ცხადყონ მშვიდობის, ერთიანობის, ანტიიმპერიალისტური სოლიდარობის განმტკიცების ნება.

ორმოცი წლის წინათ, როცა ევროპაში ჯერ კიდევ კვამლი ასდიოდა ნანგრევებს — ის-ის იყო დამთავრებული ომის ტრაგიკული ხსოვნა, — მთელი დედამიწის ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა გადაწყვეტეს შეექმნათ დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია და რეგულარულად მოეწყოთ საერთაშორისო შეხვედრები სახელწოდებით: ფესტივალი. მთელ მსოფლიოში გაისმა მაშინ ხმა თაობისა, რომელიც სიცოცხლეს იწყებდა ისეთი ცის ქვეშ, საიდანაც დიდხანს საკვდილ თესავდნენ: „ჩვენ შეეკრიბეთ, რათა განვაცხადოთ მთელი ახალგაზრდობის ერთიანობა, რათა პატივი მივაგოთ დაღუპული ამხანაგების ხსოვნას და დავიფიცოთ, რომ ახალგაზრდობის მარჯვე ხელი, მახვილი გონება და ენთუზიაზმი აღარასოდეს არ მოხმარდება ომს“.

სურათზე: სტადიონის ცენტრალურ ლოჟაში. (საკადრ-საქინფორმის ტელეფოტო).

ამ კეთილშობილური იდეალების ერთგულების ფიცით საზეიმო ვითარებაში გაიხსნა 27 ივლისს მოსკოვში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალი.

მზის სპექტრის ყველაზე ნათელი, ყველაზე ლამაზი ტონებით არის გაკისკროვნებული მრავალფეროვანი დროშები, ეროვნული ტანსაცმლების საკონვეიერო სიტრელე, ფესტივალის სიმბოლიკანი ტრანსპარანტები. საფესტივალო დღესასწაულის პროლოგი გაიმართა პროსპექტზე, რომელსაც საბჭოთა ახალგაზრდობის პატივსაცემად კომკავშირული ეწოდა. ყვავილებით, დროშებით, ახალგაზრდული ფორმის ემბლემებით ხელდამშვენებულმა ათიათასობით ადამიანმა მოაწყო ლუფნოკოსაკენ — ახალგაზრდობის, მეგობრობის, კეთილი ნების გრანდიოზული დღესასწაულის ეპიცენტრისაკენ მიმავალი ტრასის გასწრივ ეოცალი კორდონი.

გაისმის საზეიმო მარში და სადღესასწაულო კოლონამ შეადგინა ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე. სწორედ ასევე 28 წლის წინათ მოვიდნენ აქ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის მონაწილენი, რათა მთელი ხმით განეცხადებინათ, რომ გადაწყვეტილი აქვთ იბრძოლონ მშვიდობისა და სოციალური სამართლიანობისათვის.

ლამაზი და მომხიბლავია ლუქნიკის სადღესასწაულო მორთულობა. ტრიბუნებზე ტევა არ არის. ისი ათასზე მეტი მაყურებელი გიჭდა ამ დღესასწაულს უშუალო მონაწილე.

სტადიონის ცენტრალურ ლოჟაში ირიან ამხანაგები: ბ. ნ. ელცინი, ბ. ა. ალიევი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. ვრომეიკო, ვ. ი. ვორობიოვი, ა. კ. ლიგაჩოვი, ნ. ი. რიჟკოვი, ბ. ნ. ხოლომენკოვი, ნ. ა. ტიხონოვი, ე. ა. შევარდნაძე, ვ. ვ. ჩებრიკოვი, ა. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ნ. ლ. ხოკლოვი, ნ. ნ. ელცინი, ლ. ნ. ზაიკოვი, ვ. ა. ნიკონოვი, კ. ვ. რუსაკოვი. შეკრებილნი მათ მეჭუხარე ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

აქვე არიან ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლე ზუანი, საზღვარგარეთის სხვა სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწენი.

(დასასრული მე-3 გვ.).



XII-MOCKBA-1985

ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

ძვირფასო მეგობრებო, პატიცემულო სტუმრებო!

ჩვენი ქვეყნის ხალხის სახელით მოგესალმებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ოჯახის დედაქალაქ მოსკოვში. გიღოცავთ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალის გახსნას.

ასეთი ფესტივალები ყოველთვის დიდი დღესასწაული, დიდი საერთაშორისო მოვლენაა. დღესასწაულია იმიტომ, რომ ერთმანეთს ხვდებიან ყველა კონტინენტის ახალგაზრდა წარმომადგენლები, სხვადასხვა მსოფლმხედველობის, ეროვნული ტრადიციების ადამიანები. ხვდებიან ამისათვის, რომ ერთმანეთს გაუზიარონ ყოველივე საუკეთესო, რაც არის თითოეული ხალხის სულიერ საგანძურში, და ამით სახავენ ურთიერთგაგებისა და მეგობრობის უმაღლეს გზას. საბჭოთა ადამიანები გულწრფელად

დიალოგი ნაცნობ თემაზე

28 ივლისი ვაჭრობის მუშაკთა დღეა

ნამდვილ ინტერვიუს, ჩვენი აზრით, არავითარი განსაკუთრებული, საგანგებო შესავალი არ სჭირდება, როცა მისი თემა ყველასათვის ნაცნობია და საინტერესო. ვაჭრობაზე თითოეულს თავისი წარმოდგენა, საკუთარი შეხედულება აქვს. ყოველ შემთხვევაში, ვაჭრობა ის სფეროა, რომელიც არავის ტოვებს გულგრილს: ზოგი ვაქებთ ამ დარგის მუშაკებს, ზოგი ვაძაგებთ. მაგრამ უიმისოდ მაინც არ შეგვიძლია ყოფნა, თუმცა ჩვენს ურთიერთობას (მომხმარებლისა და ნოქრისას) ბევრ სიკეთესთან ერთად არანაკლები პრობლემაც ახლავს. სწორედ ამ პრობლემებზე, რომლებიც ბევრ მკითხველს აინტერესებს, გვესაუბრება საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი მერაბ ქაჯაია.

— უწინარესად, გვინდა გკითხოთ: როგორი პროპორციაა იმ რეაქციაში, რომელსაც ვაჭრობის სფეროსადმი ავლენს მომხმარებელი—მოწონება ჭარბობს თუ პრეტენზია? კარგად გვესმის, რომ არატიპური კითხვაა, მაგრამ მომხმარებელს მოჰბეზრდა ერთი და იგივე შეკითხვები ამ თემაზე და არანაკლებ სტერეოტიპული პასუხები...

— მართალი ბრძანდებით. დღეს [illegible]

[illegible]

— არც მასობრივი პროფესიისა. ჩვენს დარგს ახალგაზრდა რომ ეტანება, იქიდანაც ჩანს, რომ სისტემის სავაჭრო ორგანიზაციებში მასობრივი პროფესიის 23842 მუშაკიდან ახალგაზრდაა 10049, ესე იგი 42,1 პროცენტი. 15200 გამყიდველიდან ახალგაზრდაა 6650, ესე იგი 43,8 პროცენტი. ცხადია, ახალგაზრდების ერთი ნაწილი არ მოდის ამ სფეროში სამუშაოდ. როგორც ბოლო წლებში მოწყობილი სოციოლოგიური გამოკვლე[illegible]

[illegible]

ნისტროს ბალანსზეა სოხუმის სინოპის, გაგრაში — განთიადის დასასვენებელი სახლები. ქობულეთის პიონერთა ბანაკის ბაზაზე ყოველწლიურად 5 სექტემბრიდან დასასვენებლად იგზავნება სისტემის 420-მდე მუშაკი.

სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი დარგის მუშაკთა სანატორიული მკურნალობისა და დასვენებისათვის საქართველოს პროფსაბჭოდან და ტურისტული ბაზებიდან ყოველწლიურად 2800 ათასი მანეთის საგზურებს იძენს.

— ახლა კითხვა, რომელიც, შესაძლოა, ყველაზე მეტად აწუხებს მომხმარებელს: რატომ უჭირს დარგის მუშაკს კლიენტისათვის მათი სავაჭრო გარიგების შემდეგ ერთადერთი ადამიანური სიტყვის თქმა. ალბათ კარგად მოგეხსენებათ, რომ ეს სიტყვა არის „გმად[illegible]

[illegible]

დაკმაყოფილებისა და საქონელბრუნვის გაზრდისათვის საჭიროა რესპუბლიკის მრეწველობამ გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი, ასორტიმენტი, გაფორმება, ახალი სახეობის საქონლის ათვისება და დანერგვა, კონიუნქტურიდან გამომდინარე მოდელების სწრაფად განახლება, ვინაიდან იმპორტული საქონლის ხვედრითი წილი მთელ სასაქონლო მასაში ამჟამად 15 პროცენტს არ აღემატება და იგი თანდათანობით მცირდება. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ბოლო ხანს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო დიდად გვეხმარებიან საკავშირო ორგანოებში მთელი რიგი პრობლემების გადაჭრაში. ამ გზით ხშირად ვაღწევთ დამატებით სასურსათო და არასასურსათო საქონლის რესურსების გამოყოფას.

რაც შეეხება მომხმარებლისადმი ვაჭრობის სფეროს ზოგიერთი მუშაკის უხეშ მოპყრობას, მწარე სიმართლეა, მაგრამ ფაქტია. სამინისტროს შესაბამისმა სამსახურებმა ამის არაერთი შემთხვევა გამოავლინეს, ეს უწინარესად დახლის მუშაკთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის დაბალ დონეს [illegible]

[illegible]

თბილისის სავაჭრო ქსელი დღითი დღე ფართოვდება; მდიდრდება კეთილმოწყობილი მაღაზიებით. ამის ერთ-ერთი მაგალითია პლეხანოვის პროსპექტზე ახლახან გახსნილი, რესპუბლიკაში პირველი „საქსათბობმშენვაჭრობის" საფირმო მაღაზია „ყველაფერი სახლისათვის". მომხმარებელს შეუძლია შეიძინოს სამშენი მასალა, სანტექნიკის ან სხვა საოჯახო მოწყობილობა, სარეცხი საშუალებები თუ სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

სურათზე: ლ. კამანდაროვა მომხმარებელს ურჩევს საქონელს.

ს. კილაძის ფოტო.

ანაზღაურების პროგრესული ფორმა, სადაც შეფასება ხდება საქონლის რეალიზაციის უფრო გავრცელებული ტექნოლოგიისა და შრომატევადობის გათვალისწინებით, საქონლის ნომენკლატურის შესაბამისად.

შრომის ანაზღაურების აღნიშნული ფორმა, ჩვენი წინასწარი გაანგარიშებით, საშუალოდ 15-20 პროცენტით გაზრდის საშუალო ხელფასის მოცულობას, ამიტომ გათვალისწინებული გვაქვს წლის ბოლომდე დავნერგოთ იგი სისტემის ყველა საცალო სავაჭრო ორგანიზაციაში.

— რა უპირატესობანი და შეღავათები აქვთ თქვენი დარგის მუ[illegible]

[illegible]

ტური საქონლის პრობლემის შექმნასა და უხეშ მოქცევაში. ერთიც და მეორეც საზოგადოებას უარყოფითად განაწყობს იმ სფეროსადმი, სადაც კეთილსინდისიერი, გულისხმიერი და კორექტული მუშაკი გაცილებით მეტი მუშაობს, ვიდრე პირუკუ, თქვენ იზიარებთ თუ არა საზოგადოების დიდი ნაწილის ამ შეხედულებებს?

— არა, ასეთი აზრი არ იქნებოდა სწორი, რადგან დეფიციტური საქონლის პრობლემა არ შეიძლება ვაჭრობის სფეროს მივაწეროთ. მივმართოთ ფაქტებს: ცნობილია, რომ წლითიწლობით იზრდება მოთხოვნილება ისეთ საქონელზე, როგორიც არის ავ[illegible]

[illegible]

ამი, მძიმე მდგომარეობა შეიქმნა საგზაო რესტორნებისა და ბუფეტების ტრესტში, სადაც 174 ობიექტიდან ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა აეკრძალა 173 ობიექტს, ხოლო რკინიგზებისა და ავტოსადგურების ობიექტებს ლუდის გაყიდვის უფლებასაც არ აძლევენ. ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა ზოგიერთი რაისაბჭოს აღმასკომმა და მისმა ხელმძღვანელებმა, ვფიქრობთ, სწორად არ გაიგეს.

[illegible]

— ეტანება თუ არა ახალგაზრდობა ამ დარგს? ცნობილია, მაგალითად, რომ ჩვენი ქალიშვილებისა და ვაჟების ერთი ნაწილი უარყოფითად არის განწყობილი ვაჭრობის სფეროსადმი.

— გიპასუხებთ, რომ დარგში კადრები არ გვაკლია, მათ შორის [illegible]

I.

[illegible]

II.

[illegible]

III.

ჩაჩაური ალმა მიჰყვება არაგვის ჭალას. შვილები ინახულა და ახლა სახლისაკენ ეშურება. იცის, რომ თინას გზისკენ უჭირავს თვალი. ის იმედით გამოჰყურებს კლდიან ბილიკებს, ქმრის დაბრუნების იმედით.

[illegible]

რომკისა და ქალქვისთავის ბილიკები. მასპინძელი სიხარულით ადგილს ველარ პოულობდა. გვიამბობდა მთისას და ბარისას. ტკბილ სიტყვებთან ერთად არც სამდურავი დაუკლია:

— ჩემიანების მოსასვლელი გზის გამოხედვაში თვალები დამელალა. თვეობით იკარგებით, [illegible]

მიწის წიაღის მესაიდუმლეებს დიდი ამოცანები ჰქონიათ დასახული. მთას უნდა წაართვან, რაც კი გამოერთმევა. დიახაც, რომ უნდა წაართვან, მზეზე უნდა გამოიტანონ ქვესკნელს დამარხული განძი.

მფრინავები თუ გეოლოგები ჩაჩაურთან კარგა ხანია მეგობ[illegible]

მთაში დარჩა მთიელი

ჩაჩაურის ხევსურული ბალადა

ჩაჩაურს სხვაგან ღამის გათევა წესად არა აქვს. ან კი როგორ გაათევს ღამეს სხვაგან, როგორ დატოვებს მარტოდ ქალს ცისა და მიწის შესაყართან.

მამაცი მოყმისათვის სულ ერთია ღამე და დღე, დარი და ავდარი. ფეხმარდი რაშით ქარივით დაჰქრის აღმართ-დაღმართებზე და მათრახის ტკაცუნითა და [illegible]

ხან წლობითაც, რას გეუბნებათ გული, ნუთუ ასე უნდა დამივიწყოთ?

— არ არის დრო, ჩაჩაურ, სამსახური თავისას მოითხოვს, ოჯახი თავისას. რა ვქნა, თავს ზევით ძალა არ არისო, უთქვამს ბრძენს.

— ბრძენს ისიც უთქვამს, თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმევაო. შესაძლებელს შეუძლებლად ნუ ვაქცევთ. ჩემი თავი ჯანაბას, თქვენს ნააკვნარებს, ჩამონგრეულ სახლ-კარს მოხედეთ.

ალბათ, მეხის დაცემა ვერ შე[illegible]

IV.

[illegible]

V.

[illegible]

ვება ტვირთის ქვეშ აღარც კი ჩანდა პატარა. უცებ ფეხი დაუცდა, ტვირთის ქვეშ მოჰყვა. ჩაჩაური მივიდა, წამოაყენა და ისევ წამოჰკიდა ტვირთი. დატუქსვაზე ღიმილით მიპასუხა: „ყმაწვილობისას ვინც ხელში ხბოს აიყვანს, ის ჭაბუკობისას ხარსაც მოერევაო".

მისმა სიტყვებმა აბა ბიტურაული გამახსენა, ჩაჩაურის სახელოვანი წინაპარი, პატარა კახის თავდადებული მცველი, რომელმაც მტრებთან შეუპოვარი ბრძო[illegible]

მუდამ ზრუნავდა და ზრუნავს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის. ჯერ იყო და საზაფხულო იალაღებზე დუშეთის რაიონის მლაშეს კოლმეურნეობის ნახირს მწყემსავდა, მწყემსავდა მონდომებითა და გულმოდგინედ, თავისი წვლილი შეჰქონდა რძისა და ხორცის წარმოების გადიდებაში. მერე, როცა ხევსურეთში მეცხოველეობის მეურნეობები შეიქმნა და დიდი გასაქანი მიეცა კოოპერირებას, მასში აქტიურად ჩაება, გაიპირო[illegible]

დო ჩანაფიქრი.

— ჩემი სახლი ცუდ ადგილას დგას. ხუთი წლის წინ, დიდთოვლობისას ზვავმა კინაღამ თავზე დაგვანგრია ჭერი. სამი დღე ვჭრიდი გარეთ გამოსასვლელ გზას. მეც აბა ბიტურაული ხომ არ ვიყავი, მხრებით ამომენგრია იმოდენა თოვლი და ყინული... მინდა თქვენს ნასახლარზე ქვიტკირი ავაგო და საცხოვრებლად იქ გადავიდე, საწინააღმდეგო თუ არაფერი გექნებათ. არა, თუ აქეთ წამოსვლა გადაწყვიტეთ, აშენე[illegible]

მაზ მაგალითს აძლევს თანამოძმეებს.

ზაფხულის დღეები სწრაფად მიჰქრიან ჩაჩაურის საუფლოში, სწრაფად და მსუბუქად, ზამთრის დღეები კი ნელა მიიზლაზნებიან. თუმცა გულგაუტეხელ მოყმეს აღარც ამისა ეშინია. მის ნაბადს დარიც უნახავს და ავდარიც, ბუნების წყალობაც და სტიქიაც.

ჩაჩაურის კერაზე დანთებულ ცეცხლს ჩაქრობა არ უწერია.

გიორგი გიგაური.

მანეთით კონტროლი მთავარია საფინანსო დისციპლინის განმტკიცებაში

წინასწარი კონტროლის, როგორც მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი ქმედითი საშუალების, სრულყოფის აქტუალურ პრობლემებს მიეძღვნა თათბირ-სემინარი, რომელიც მო[illegible]

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის სახალხო [illegible]

შესაძლებლობათა თავიდან აცილებისათვის წინასწარი კონტრ[illegible]

სამინისტროების, გამსახკომის წარმომადგენლებმა, თათბირ-სემ[illegible]

ლექსისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მოწინავე საწარმოთა გამოცდილებას.

შეაჯამა რა თათბირ-სემინარის შედეგები, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა დ. ნ. ღვალიშვილმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში იგი პირველად იმართ[illegible]

[illegible]

ქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახბანკისა და მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორებთან ერთად. თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, [illegible]

[illegible] უწყებების საგეგმო, ეკონომიკური, საფინანსო და საკონტროლო-საზომი სამსახურების ხელმძღვანელები.

მოისმინეს მოხსენებანი, ბანკისა და სალარო სხვადასხვა ოპერაციის განხორციელებისას მშენებლობაში წამატ[illegible]

სხვადასხვა დარგის საწარმოებში წინასწარი კონტროლის მოწყობის გამოცდილებასა და ამ მუშაობის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ერთმანეთს გაუზიარეს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ხორცისა და რძის მრეწველობის [illegible]

[illegible] წინასწარი და მიმდინარე კონტროლი სამეურნეო ორგანიზაციებში ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების ხარჯვისადმი, რომლებიც განაზოგადებენ მრეწველობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, მშენებლობის, აგროსამრეწველო კომპ[illegible]

[illegible] ევზო სამსახურის საქმიანობაზე, ქმედითი დახმარება გაუწიოს მათ ინტენსიური განვითარების რელსებზე ეკონომიკის დაჩქარებული გადაყვანის შესახებ პარტიის მოთხოვნათა უთუო შესრულებაში.

(საქინფორმი).

ახალგაზრდობის, მშვიდობის, მეგობრობის დღესასწაული

XII-МОСКВА-1985

(დასასრული)

17.00 საათია, ლუჟნიკის თავზე ისმის მოსკოვის მოხმობის სიმღერები: „ვრცელია ჩემი სამშობლო..." სტადიონზე რეკს კრემლის კურანტები. პირველ ბგერასთან ერთად მოძრაობას იწყებს მხატვრული ფონი აღმოსავლეთ ტრიბუნაზე — გახსნის დღესასწაულის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პი...

უკეთესო შესაძლებლობაა უკეთ გაიცნონ და გაუგონ ერთმანეთს, განიხილონ თანამედროვეობის უმწვავესი პრობლემები, მეგობრული დისკუსიების დროს შეიმუშაონ პროგრესული ახალგაზრდული მოძრაობის მოქმედების საერთო პლატფორმა.

ტრადიციისამებრ მარშ-პარადი დააგვირგვინა ფესტივალის მასპინძელმა ქვეყანამ. ორი ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი შედის წლე...

პოლიტიკური შეხედულებებისა და მრწამსის განსხვავების მიუხედავად, კიდევ უფრო ერთსულოვნად და მტკიცედ გაილაშქროს იმპერიალიზმის, მილიტარიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ.

ფესტივალი იმართება მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 40 წლისთავის წელს. საბჭოთა ხალხისათვის, რომელმაც თავისი მხრებით ზიდა ფაშისტური ჭირის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი სიმძიმე, ეს ომი იყო დიდი სამამულო ომი. გასული ომის გაკვეთილები იმათი მკაცრი გაფრთხილებაა, ვინც დღეს აღგენს ახალი „ჯვაროსნული ლაშქრობების" გეგ...

გაზრდა თაობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს თავისი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, მოქალაქეობრივი და ადამიანური უფლებებისათვის. ალსავსენი ვართ მისწრაფებით ვისწავლოთ, ვიმუშაოთ, შევიცნოთ სამყარო, ვიცხოვროთ მჩქეფარე ცხოვრებით, მონაწილეობა მივიღოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, ჩვენი შემოქმედებითი ძალისხმევა მოვახმაროთ იმას, რომ დავიცვათ და კიდევ უფრო მშვენიერი გავხადოთ ჩვენი პლანეტა.

მოსკოვში შეკრებილნი შევძლებთ უკეთ გავიცნოთ საბჭოთა...

ლების გირლანდით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი. შემდეგ სამგზის საბჭოთა კავშირის გმირმა, ავიაციის მარშალმა ი. ნ. კოჟედუბმა ჩირაღდანი აანთო ამ წმინდა ადგილას მოგიზგიზე მარადიულ ცეცხლზე და ესტაფეტასავით გადასცა იგი ფესტივალის დელეგატებს — გაერთიანება „ურალმანქანის" ამწყობ ზეინკალს, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატს პავლე რატნიკოვსა და მოსკოვის გ. ვ. პლეხანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის ასპირანტს გალინა გაგარინას. ეს გამორჩეული გვარია, მაგრამ ფეს...

სურათზე: მოდის საბჭოთა დელეგაცია.

საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ზე შევიდა და აღმოსავლეთის ტრიბუნასთან გაჩერდა. გალინა და პავლე, რომლებსაც მაღლა აღუმართავთ ჩირაღდანი, ადიან კიბეზე. და აი, ყველას, ვინც სულგანაბული თვალს ადევნებს ჩირაღდნის მოძრაობას, თვალწინ წარმოუდგება საოცარი სანახაობა: ტრიბუნა-ეკრანი იქცევა დედამიწის სფეროდ, და ქალიშვილისა და ჭაბუკის ფიგურები თითქოს დაფრინავენ მის თავზე, ადიან სულ უფრო მაღლა და მაღლა.

სტადიონზე ჟღერს რობერტ როჟდესტვენსკის სიტყვებზე ფესტივალისათვის სპეციალურად...

ფონს, როგორც ტილოს, კიდევ ერთი მოსმა ფუნჯისა — და იცინის კაშკაშა მზე. ასე ცოცხლდება ყველას თვალწინ სიმღერა „დაე მუდამ იყოს მზე!".

ყველაზე ნორჩ მონაწილეთა პროგრამამ გადაშალა დღესასწაულის კიდევ ერთი ფურცელი — საბჭოეთის ყველა რესპუბლიკის სამხატვრო-სპორტული მისალმება ფესტივალს. თვალწარმტაცი და მრავალფეროვანი იყო ეს სანახაობა, რომელიც ხოტბას ასხამდა სიხარულისათვის, მშვიდობიან მიწაზე მშვიდობიანი შრომისათვის შობილი ადამიანის ჰარმონიასა და სილამაზეს.

...შეხვედრები ფესტივალის...

უზარმაზარ მწვანე მინდორზე შემორბის ბიჭი. ხელში უჭირავს ფუნჯი და პალიტრა. ფუნჯის მოსმა და ცის ლაჟვარდი ეფინება...

წარმატებებს გისურვებთ, XII მსოფლიო ფესტივალო!

(საქდეს კორ.)

სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია

გაიმართა სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სესიამ გაათავისუფლა ამხ. ლ. დ. ჩხეიძე სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველ მდივნად არჩევასთან დაკავშირებით.

სამტრედიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. თ. კ. მიქაძე, რომელიც მუშაობდა პარტიის სამტრედიის რაიკომის მეორე მდივნად.

(საქინფორმი).

გაზეთს — ჯილდო

ტყიბული. (საკ. კორ.). ჟურნალ „ჟურნალისტის" მეექვსე ნომერმა სასიხარულო ცნობა მოიტანა ტყიბულში.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის სამდივნომ და „ჟურნალისტის" სარედაქციო კოლეგიამ შეაჯამეს 1984 წელს გა...

...ზეთის რედაქტორი ს. მერკვილაძე.

მაღალმა ჯილდომ გაზეთის შემოქმედებით კოლექტივს ახალი ენერგია შემატა.

ვ. ცირეკიძე.

საზღვარგარეთში

ფაქტები, მოვლენები

27 ივლისი ● საქდესი იუწყება

გმობენ რასისტთა სისხლიან თარეშს

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ სასწრაფო სხდომაზე განიხილა ვითარება სამხრეთ აფრიკაში, სადაც რასისტთა ხელისუფლებმა მასობრივი რეპრესიები გააჩაღეს იმათ წინააღმდეგ, ვინც აპარტეიდის სისტემის ლიკვიდაციისათვის იბრძვის.

ორატორთა დიდმა უმრავლესობამ, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მალის მუდმივმა წარმომადგენელმა ს. ნიაიმ, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აფრიკის ქვეყნების ჯგუფის სახელით, გადაჭრით დაგმეს რასისტთა სისხლიანი თარეში, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და სტაბილურობას.

საბჭოს სხდომაზე გამოსულ ორატორთა უმრავლესობამ მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყდეს პრეტორიასთან ეგრეთ წოდებული „კონსტრუქციული თანამშრომლობა", გამოიყენონ სავალდებულო სანქციები სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ, რომლებიც სამხრეთ აფრიკის ხელისუფალთ აიძულებდა ხელი აღეღოთ რასობრივ დისკრიმინაციაზე.

საბჭოთა კავშირი გმობს იმას, რომ ნატოს ზოგიერთი წევრი დასავლეთის ქვეყანა მხარს უჭერს...

...ტიკურ კურსს, რომ შეერთებული შტატები თანამშრომლობს პრეტორიის ხელისუფლებთან, ცდილობს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა გამოიყვანოს პოლიტიკური იზოლაციის მდგომარეობიდან, განაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლის პირველმა მოადგილემ ვ. ს. საფრონჩუკმა.

იაპონია — საჯარო ფიცი

ტოკიო. „ხსოვნის საჯარო ფიცი" დადეს ჰიროსიმის მშვიდობის პარკში საერთაშორისო „მშვიდობის ესტაფეტის" მონაწილეებმა, რომლებიც მიიძღვნა იაპონიაში მილიტარისტული ხროვის განადგურების 40 წლისთავს. „ჩვენ ვერასოდეს ვერ დავივიწყებთ ტანჯვა-ვაებას, რომელიც მოუტანა ჩვენს ხალხს მეტრიონმა. წარსული ომით მოყენებული ტკივილი მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულში, მოგვიწოდებს ვიბრძოლოთ ბირთვული საფრთხისა და ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ— ამერიკის ატომური დაბომბვის მსხვერპლთა ძეგლის წინაშე ფიცის ეს სიტყვები წარმოთქვა ასობით ქალიშვილმა და ჭაბუკმა, რომლებმაც იაპონიის გზებზე გამოატარეს ჰიროსიმის მშვიდობის პარკში მარადიულ ცეცხლთან აანთებული „ხსოვნის ჩირაღდანი".

მათ გაიარეს ორი ათასზე მეტი კილომეტრი ქვეყნის ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში, ხელიდან ხელში გადასცემდნენ ჩირაღდანს. ამ ტრასის მთელ სიგრძეზე „მშვიდობის ესტაფეტის" მონაწილეებმა ათობით მიტინგი გამართეს.

სირია — მინისტრის განცხადება

დამასკო. სირიის, სხვა არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ იმპერიალიზმისა და სიონიზმის განუწყვეტელი ბრიკები უადრესად დაძაბულ ვითარებას ქმნიან ახლო აღმოსავლეთში, განაცხადა სირიის არაბთა რესპუბლიკის ინფორმაციის მინისტრმა იახიე რაჯუმმა. სარგებლობს რა ამერიკის შეერთებული შტატების ფართო პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მხარდაჭერით, ისრაელი განაგრძობს აგრესიულ კურსს მეზობელი სახელმწიფოების მიმართ, ფეხქვეშ თელავს საერთაშორისო ნორმებსა და კანონებს, თქვა მან. მინისტრმა აღნიშნა, რომ არაბი ხალხების კანონიერი უფლებების დაცვის თანამიმდევრული კურსი, რომელსაც ადგას სირია, უცვლელი დარჩება.

თურქეთი, ნატო და ვაშინგტონის სტრატეგია

სამხედრო-პოლიტიკური მიმოხილვა

...თეთრი სახლის წარმომადგენლის ცნობით, ახალ საფინანსო წელს თურქეთისათვის ამერიკის დახმარების საერთო მოცულობა 939 მილიონ დოლარს შეადგენს. აქედან სამხედრო მიზნით გამოიყოფა 789 მილიონი.

...თურქეთი პირველ ადგილზე გავიდა იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც იარაღს ამერიკის შეერთებულ შტატებში ყიდულობენ. 1984 წელს, გაზეთ „გიუნაიდინის" ცნობით, თურქეთმა ოკეანის გაღმა შეისყიდა 4,4 მილიარდი დოლარის სხვადასხვა სახის იარაღი.

...„შეერთებული შტატები, — განაცხადა პრეზიდენტმა რ. რეიგანმა ამა წლის აპრილში თეთრ სახლში, როცა თურქეთის პრემიერ-მინისტრს თ. ოზალს მიმართავდა, — წინანდებურად მზად არის თურქეთს გაუწიოს დიდი მოცულობის დახმარება უშიშროების უზრუნველსაყოფად, შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის დასაჩქარებლად... ამერიკა-თურქეთის სამხედრო თანამშრომლობამ, — პირდაპირ თქვა რეიგანმა, — ამჟამად გაცილებით მეტი მნიშვნელობა შეიძინა, ვიდრე ოდესმე".

ეს ცნობები ნათლად მოწმობს შეერთებული შტატების დამოკიდებულებას ნატოს აგრესიული ბლოკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფლანგის ბასტიონისადმი, როგორც იგი თურქეთს უწოდებს. თურქეთის არმიის (რომელიც ჩრდილოატლანტიკურ კავშირში...

ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებს თურქეთში 60-მდე სამხედრო ობიექტი აქვს, რომლებშიც ხუთი ათასამდე ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეა განაგებული. პენტაგონისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეიდი მსხვილი ბაზა, მათ შორის ფირინჩლიქში, სინოპსა და ინჯირლიქში.

დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობით, ყველა ისინი დამიზნებულია სსრ კავშირსა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის სოციალისტურ ქვეყნებზე. გარდა ამისა, ინჯირლიქის სამხედრო-საჰაერო ბაზა პენტაგონს საშუალებას აძლევს მიზანში ჰქონდეს ამოღებული ახლო...

რის" შესყიდვის თაობაზე. ამავე დროს გრძელდება მუშაობა იმისათვის, რომ განახორციელონ თურქეთში მისი წარმოების პროექტი. მიმდინარეობს უახლესი ამერიკული „ფ-16" ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენების ასაწყობი საწარმოს მშენებლობა. დამთავრების სტადიაშია მოლაპარაკება ესპანეთის, კანადისა და იტალიის ფირმებთან სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავის მშენებლობის შესახებ.

საძირკველი ჩაეყარა საკუთარ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს. შეიქმნა ფირმა „თურქ უჩაქ სანაი ა. შ.". მის საქმიანობაში მონაწილეობას მიიღებენ თურქული ავიაშემნებელი კომპანია...

აქვს, ვიდრე ნებისმიერ პრობლემას, რომლებსაც, მაგალითად, ამ ქვეყანაში მოქალაქეობრივ უფლებათა დარღვევა წარმოშობს. შემთხვევითი არ იყო, რომ შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის თანაშემწემ რ. პერლმა გაზეთ „ჰურიეთისათვის" მიცემულ ინტერვიუში გადაჭრით განაცხადა, რომ თურქეთი და ისრაელი „მყარი დემოკრატიის" ერთადერთი ქვეყნები არიან, რაც ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობის ფაქტორია".

და ეს მაშინ, როცა ქვეყანაში ათიათასობით პოლიტიკური პატიმარია, მათ შორის პროფკავშირელი აქტივისტები, მშვიდობისათვის მოძრაობის წევრები, მოწი...

● აჩქარებენ თურქული არმიის მოდერნიზაციას

● იქმნება საკუთარი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი

● თურქეთის სამხედრო ბიუჯეტი

„თურსაში", ამერიკული „ჯენერალ ელექტრიკი", თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ხელშემწყობი საზოგადოება და თურქეთის საავიაციო საზოგადოება. 1985 წლის 10 იანვარს ანკარაში ხელმოწერილი შეთანხმება...

ნავე ინტელიგენციის წარმომადგენლები.

ბევრი მათგანი, ფრანგული „ლუმანიტეს" მოწმობით, უკვე ოთხი წელიწადია საპატიმროში იტანჯება...

...ახალი ამბების სააგენტოს მასალების მიხედვით.

ფოტოფაქტი

აშშ — ხელკეტების „დემოკრატია"

მკაცრი პოლიციური ტერორითა და ძალმომრეობით უპასუხებენ შეერთებული შტატების ხელისუფალნი ცენტრალური ამერიკის ქვეყნებში ვაშინგტონის ადმინისტრაციის აგრესიული ჰეგემონისტური პოლიტიკის წინააღმდეგ საპროტესტო კამპანიას, რომელიც დღითიდღე ფართოვდება მთელ ამერიკაში.

გამხეცებული „წესრიგის დამცველნი" იყენებენ დასავლეთის ყბადაღებული „დემოკრატიის" ყველა იარაღს, მათ შორის მასობრივ დაპატიმრებებსა და ხელკეტებს, მრავალრიცხოვან დემონსტრაციათა მონაწილეების წინააღმდეგ.

სურათზე: პოლიციელები უსწორდებიან მანიფესტანტებს სან-დიეგოში.

სურათზე: სპექტაკლის სცენა: პრინცი — თ. გუგუშვილი, პრინცესა — ნ. გლუნჩაძე.

თბილისის საოპერო თეატრი

„სამი ფორთოხლის სიყვარული“

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ნებისმიერი საოპერო სპექტაკლის პრემიერა ჩვენი კულტურული ცხოვრების თვალსაჩინო მოვლენაა. იგი უმალ ხდება მუსიკის მოყვარულთა და სპეციალისტთა მსჯელობის საგანი. თუმცა ახალ საოპერო სპექტაკლს—სერგი პროკოფიევის ოპერას „სამი ფორთოხლის სიყვარულს“ მასშტაბური გაგებით პრემიერას ვერ ვუწოდებთ. როგორც ცნობილია, იგი ჯერ კიდევ 1919 წელს დაიწერა ჩიკაგოს საოპერო თეატრის შეკვეთით და იქვე დაიდგა 1923 წელს. საბჭოთა კავშირში „სამი ფორთოხლის სიყვარული“ დაიდგა სამჯერ: მოსკოვში, ლენინგრადში, და აი, ახლა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში.

სპექტაკლს არც ერთი მაყურებელი არ დაუტოვებია გულგრილი. იმათაც, ვინც უკვე მოასწრო ამ მშვენიერი ოპერის მოსმენა, იმათაც, ვინც მომავალში აპირებს ამას, ალბათ, დააინტერესებთ, რა აზრისაა ამ ახალ ნამუშევარზე თვით დამდგმელი რეჟისორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გურამ მელივა. ამიტომ ჩვენი კორესპონდენტის საუბარს მასთან პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ინტერვიუ მკითხველის, უფრო სწორად, მუსიკის მოყვარულთა თხოვნით.

— რამ განსაზღვრა დამდგმელი კოლექტივის დაინტერესება პროკოფიევის ამ ოპერით?

— სამი ფორთოხლის იდეა, მოგეხსენებათ, სიყვარულია, წარუვალი ადამიანური გრძნობა, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩვენს „პროზაულ“ ეპოქაში.

„სამი ფორთოხლის სიყვარული“ ზედმიწევნით სპეციფიკური, ეგრეთ წოდებული თეატრალური ნაწარმოებია, მოგეხსენებათ, საზოგადოდ, საოპერო სპექტაკლს თეატრალობა აკლია. პროკოფიევის ოპერა ამ მხრივ იშვიათი გამონაკლისია.

— თვით პროკოფიევს უთქვამს: „მე მხოლოდ მხიარულ სპექტაკლს ვქმნიდიო“...

— პროკოფიევი, რაღა თქმა უნდა, უფლებამოსილი იყო ამ ნაწარმოებზე საკუთარი აზრი ჰქონოდა. თუმცა, გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი დასის მიზანი რამდენადმე განსხვავებული გახლდათ: კომპოზიტორის სტილისტიკისა და ინტონაციის გამოყენებით შეგვექმნა ვიზუალური სამყარო; შემთხვევითი არ არის, რომ ოპერის გმირები ვოკალზე არანაკლებ ცეკვას იყენებენ, მნიშვნელოვანი როლი აქვს დაკისრებული პანტომიმას, პლასტიკას.

— ოპერის წარმატებას დასთან ერთად უთუოდ ინაწილებს ჯანსუღ კახიძეც, სპექტაკლის დირიჟორი...

— ჩემი აზრით, დირიჟორის ნიჭი ამ სპექტაკლშიც მკაფიოდ გამოჩნდა. კახიძისათვის და ჩემთვის პროკოფიევის შემოქმედებასთან შეხვედრა პირველი არ არის: 1977 წელს პოლონეთში, ლოძის დიდ თეატრში, ერთად დავდგით ოპერა „ქორწინება მონასტერში“.

სპექტაკლში მონაწილე თითოეული მსახიობი უდავოდ ქების ღირსია. ამჯერად მინდა მოვიხსენიო მაია თომაძე (ფატა მორგანა) და იმერ კავსაძე (ტრუფალდინო). თუ იმერ კავსაძე გამოცდილი ოსტატია და გული არაფერზე გვეთანაღრებოდა, მაია თომაძე სახასიათო პარტიაში პირველად გამოვიდა და, ჩვენდა სასიხარულოდ, დიდი წარმატებით.

სპექტაკლს თავისი ნიჭის კვალი დააჩნიეს მთავარმა ქორმაისტერმა ავთანდილ ჩხენკელმა და დირიჟორმა ავთანდილ მამაცაშვილმა.

ცალკე უნდა აღინიშნოს სპექტაკლის სცენოგრაფია. სხვათა შორის, „სამი ფორთოხლის სიყვარული“ მხატვარ უშანგ იმერლიშვილის პირველი დადგმაა საოპერო თეატრში. მანამდე, როგორც იცით, იგი ვასო აბაშიძის სახელობის მუსკომედიის თეატრის მთავარი მხატვარი იყო. ოპერაზე ერთობლივი მუშაობა მეორედ მოგვიწია — პირველად 1980 წელს პოლონეთში დავდგით „ქეთო და კოტე“.

— იქნებ ხვალინდელი დღისკენაც გაგვიხედა?

— კარგა ხანია ვემზადები მონტევერდის მუსიკალური დრამის „პოპეას კორონაციის“ დადგმისათვის. როგორც ცნობილია, ეს პირველი მუსიკალური დრამაა მუსიკის ისტორიაში: იგი 1650 წელს შეიქმნა. ამ დადგმით ჩვენს საოპერო თეატრში წამოვიწყებთ ეგრეთ წოდებულ „ძველი ოპერის“ ციკლს. აქვე დავძენთ, რომ ეს ოპერა საბჭოთა კავშირში ჯერაც არ დადგმულა.

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

ვის ეკუთვნის განთავისუფლებული ბინა?

სარედაქციო ფოსტაში ბევრია შეკითხვა, რომელთა ავტორებს აინტერესებთ საბინაო კანონმდებლობის მრავალი საკითხი. ამჯერად ჩვენ ვთხოვეთ თბილისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო განყოფილების გამგეს ო. თოლორაიას განემარტა, თუ ვის ეკუთვნის განთავისუფლებული ბინა.

ბინებში, სადაც რამდენიმე დამქირავებელი ცხოვრობს, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ერთ-ერთი საშუალებაა განთავისუფლებული ფართობით დაკმაყოფილება.

თუ აღრიცხვაზე მყოფი დამქირავებლის გვერდით განთავისუფლდა არაიზოლირებული, მომიჯნავე ოთახი, იგი სარგებლობისათვის ამ დამქირავებელს უნდა გადაეცეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს წესი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როცა განთავისუფლებული ოთახი არაიზოლირებული და მომიჯნავეა (მომიჯნავედ ითვლება ოთახი, რომელსაც არა აქვს და არც გაუკეთდება დამოუკიდებელი შესასვლელი).

სხვაგვარად წყდება საკითხი, როცა განთავისუფებული ოთახი იზოლირებულია (იზოლირებულად ითვლება საერთო სარგებლობის ბინის ოთახი, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი გასასვლელი საერთო სარგებლობის დერეფანსა და საერთო სათავსოში). იგი მიეცემათ ბინაში მცხოვრებ იმ მოქალაქეებს, რომლებიც საბინაო პირობების გაუმჯობესების აღრიცხვაზე არიან ან აღრიცხვაზე აყვანის უფლება აქვთ, ხოლო თუ ასეთები არ არიან — იმ მოქალაქეებს, რომლებსაც ოჯახის თითოეულ წევრზე უკავიათ 12 კვადრატულ მეტრზე ნაკლები საცხოვრებელი ფართობი (ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს დამატებითი ფართობის უფლებაც).

ასეთ პირობებში კანონი, უწინარეს ყოვლისა, უპირატესობას ანიჭებს იმ მოქალაქეებს, რომლებიც აღრიცხვაზე არიან ან საბინაო პირობების გაუმჯობესებას საჭიროებენ, შემდეგ იმ მოქალაქეებს, რომლებსაც ოჯახის თითოეულ წევრზე უკავიათ 12 კვადრატულ მეტრზე ნაკლები საცხოვრებელი ფართობი, ხოლო თუ ბინაში ასეთი მოქალაქეები არ არიან, განთავისუფლებულ საცხოვრებელ ფართობში ბინის მიღების აღრიცხვაზე მყოფი სხვა მოქალაქეთა შესახლება ხდება საერთო წესით.

განთავისუფლებული იზოლირებული ბინების განაწილება ხდება ბინის მიღების აღრიცხვაზე მყოფთა რიგის მიხედვით. (მიუხედავად იმისა, ამ სახლებში მცხოვრებნი საჭიროებენ თუ არა საბინაო პირობების გაუმჯობესებას). თუ იზოლირებული ბინა განთავისუფლდა სახელმწიფო საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციების მიერ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებისათვის გადაცემულ სახლებში, რომლებიც აშენებულია წილობრივი მონაწილეობის წესით (საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სახსრების გამოყენებით), შესახლების უპირატესი უფლებით სარგებლობენ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ის მუშაკები, რომლებიც საჭიროებენ საბინაო პირობების გაუმჯობესებას რიგის მიხედვით. ეს წესი ვრცელდება უწყებათა ბინებში განთავისუფლებული იზოლირებული ოთახების განაწილებისას.

განთავისუფლებული საცხოვრებელი ფართობის სწორი აღრიცხვა და დროული განაწილება საბინაო პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა, მაგრამ, როგორც ამასწინანდელმა შემოწმებამ ცხადყო, ქალაქის რაიაღმასკომები ფორმალურად ეკიდებიან ამ საქმეს, რითაც ძირითადად ვანპირობებულია ბინაში მოქალაქის უნებართვოდ შეჭრის ფაქტები, აგრეთვე ის, რომ ბოლო ხანს გახშირდა და წლობით ჭიანურდება ასეთ მოქალაქეთა გამოსახლებაზე შესაბამისი რაიონების პროკურატურათა სანქციების სისრულეში მოყვანა.

როგორც ჩანს, საკმარისი არ არის პროფილაქტიკური ღონისძიებები. საბინაო-საექსპლოატაციო ორგანოები და შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებები უფრო ქმედითად უნდა იბრძოდნენ ასეთი ფაქტების თავიდან აცილებისათვის. განთავისუფლებულ ბინებში მოქალაქეთა თვითნებური შეჭრის, [illegible]

[illegible] ებს შორის გაუთავებელი დავა, საჩივრების წერა ზემდგომ ორგანოებში, სასამართლოში. ბოროტად იყენებენ რა კანონის ჰუმანურობას, თავგასული ადამიანები მშვენივრად გრძნობენ თავს თვითნებურად დაკავებულ ბინებში, ქირასაც არ იხდიან. ზოგი თავს მოიგიჟიანებს და პროვოკაციას მიმართავს. ეს პროცესი ზოგჯერ წლობით გრძელდება. ამგვარი ფაქტების თავიდან ასაცილებლად კანონების მთელი მოთხოვნები უნდა გამოვიყენოთ ბინებში თვითნებურად შეჭრილთა მიმართ, მით უმეტეს, რომ ისინი ცოტანი არ არიან. მრავალი მაგალითიდან მოვიყვანთ ერთს. მოქალაქე თ. ჩუბინიძე-კუზმენა ცხოვრობს ნუცუბიძის ქუჩა № 6-ში. ბინის მიღების აღრიცხვაზეა 1982 წლიდან. მას შეღავათიანი კატეგორიით საბურთალოს რაისაბჭოს აღმასკომმა შესთავაზა ბინები: 1. ბუდაპეშტის ქუჩაზე ერთოთახიანი, საბურთალოს ქუჩაზე — ოროთახიანი, ვარკეთილის პირველ მიკრორაიონში — ოროთახიანი ბინა. ეს ვარიანტები დაიწუნა და თვითნებურად შეიჭრა მშვიდობის გამზირზე № 39 სახლის ბინაში, რომელიც იმ დროისათვის განაწილებული იყო სხვა მოქალაქეზე.

საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 110-ე მუხლი ითვალისწინებს პროკურორის სანქციით უნებართვოდ ბინების დამკავებელთა გამოსახლებას. პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ეს ნაკლებად ეფექტიანია. ვფიქრობთ, საჭიროა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე დაისვას სასჯელის გამკაცრების საკითხი. კერძოდ, ბინის მიუცემლად გამოსახლების გარდა, დამნაშავე მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან დაეკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ცნობილია, თუ რა კატასტროფული ხასიათი მიიღო ერთ დროს მსუბუქი ავტომანქანების გატაცებამ, მაგრამ კანონის გამკაცრების შემდეგ ამგვარმა დანაშაულებმა მკვეთრად იკლო.

განთავისუფლებული ბინების აღრიცხვისა და განაწილების საქმეში სათანადო წესრიგის დასამყარებლად საქარხნო რაისაბჭოს აღმასკომმა მოაწყო საპასპორტო რეჟიმის დაცვის, ბინების ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის დათვალიერება. ამ ღონისძიების მიზანია თავისუფალი და განთავისუფლებული ბინების კანონის შესაბამისად განაწილებაში ფართოდ ჩაბას მოსახლეობა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს განთავისუფლებული ან თვითნებურად დაკავებული ბინების გამოვლენა-აღრიცხვას. გამოვლინდეს ბინების გაქირავების, არაშრომითი შემოსავლის წყაროდ გამოყენების, საპასპორტო რეჟიმის დარღვევის ფაქტები; შევისწავლოთ, რამდენად მიზნობრივად მიმდინარეობს მოსახლეობაში, დაწესებულებებში საბინაო კოდექსისა და დებულების ახსნა-განმარტებითი მუშაობა; ვამხილოთ ის მუშაკები, რომლებიც თავიანთი უპასუხისმგებლობით ხელს უწყობენ განთავისუფლებული ბინების თვითნებურად დაკავებას.

უდავოდ, კარგ შედეგს მოგვცემს საცხოვრებელი ბინების ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვისა და საპასპორტო რეჟიმის დაცვის მდგომარეობისადმი მკაცრი კონტროლის დაწესება. ამ საქმეში დეპუტატებთან, შინაგან საქმეთა ორგანოებთან ერთად ის მოქალაქეებიც უნდა მონაწილეობდნენ, რომლებიც წლების მანძილზე საბინაო აღრიცხვაზე არიან და ელიან თავიანთ რიგს. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს განთავისუფლებული ბინებისადმი საზოგადოების ზედამხედველობის გაუმჯობესებას და მათი აღრიცხვა-განაწილებაში წესრიგის დამყარებას.

ო. თოლორაია.

პრობლემა, ჰიპოთეზა, ფაქტი

ახალი ხელოვნური

სისხლძარღვები

სსრ კავშირი. ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ინსტიტუტში გამოცდას გადის „ვიტლანი“ — ახალი მასალისაგან დამზადებული სისხლძარღვები. მეცნიერთა აზრით, „ვიტლანი“ მეტად პერსპექტიულია, რადგან ხელს უშლის გულისათვის ესოდენ სახიფათო სისხლის თრომბების ჩამოყალიბებას. ამ თვისებას კი „ვიტლანი“ უნდა უმადლოდეს „კარბინს“, ვინაიდან ხელოვნური სისხლძარღვის კედლები სწორედ ამ ნივთიერებით არის დაფარული. კარბინი ელემენტ ნახშირბადის მესამე სახესხვაობაა. იგი ახლახან იქნა სინთეზირებული აკადემიკოს ვასილ კორშაკისა და მისი კოლეგების მიერ. „კარბინის“ აღმოჩენამდე მსოფლიოში ნახშირბადის მხოლოდ ორ სახესხვაობას იცნობდნენ — ალმასსა და გრაფიტს; ახალ სახეობას ისეთივე ქიმიური სიმტკიცე აქვს, როგორც ალმასს.

ცხოველებზე წარმატებით დამთავრებული ექსპერიმენტების შემდეგ ჯანმრთელობის სამინისტრომ ნება დართო მეცნიერებს კლინიკურ პირობებში გამოეცადათ „ვიტლანი“. ახლა მოსკოვის საავადმყოფოებში რამდენიმე პაციენტს უკვე აქვს ხელოვნური სისხლძარღვები.

თამბაქო და კიბო

შვეცია. აქ განხორციელებულმა ეპიდემიოლოგიურმა გამოკვლევებმა გამოავლინა, რომ არსებობს კავშირი თამბაქოს წევასა და საშვილოსნოს ყელის კიბოს შორის. ფიქრობენ, რომ ამის მიზეზი უნდა იყოს მწეველ ქალთა საშვილოსნოს ყელის ლორწოვან გარსში პოტენციურად კანცეროგენულ ნივთიერებათა კონცენტრაცია. ლორწოვანი გარსის ანალიზი გაუკეთდა 10 მწეველ და 8 არამწეველ ქალს. ანალიზმა ცხადყო, რომ მწეველ ქალებს ლორწოვან გარსში ამოაჩნდათ ნიკოტინი და მისი ძირითადი მეტაბოლიტი კოტინინი. ამავე დროს კოტინინი იქ იმდენივე იყო, რამდენიც სისხლში, ნიკოტინი კი ლორწოვან გარსში მეტი რაოდენობით აღმოჩნდა, ვიდრე სისხლში.

ხიმსუქნეს ფიზიკური

აქტიურობა შველის

აშშ. ამერიკელთა 20-დან 40 პროცენტს ჭარბი წონა აქვს და ამას იმით ხსნიან, თითქოს ეს ადამიანები ბევრს ჭამდნენ.

მაგრამ უკანასკნელი გამოკვლევებით დადგინდა: თურმე, მსუქანი ადამიანები საშუალოდ იმაზე მეტს არ ჭამენ, ვიდრე ნორმალური წონისანები, ხშირად კი ნაკლებსაც. საქმე ის გახლავთ, რომ გამხდარი ადამიანები მსუქნებზე ბევრად უფრო აქტიურ ცხოვრებას ეწევიან.

სტანფორდის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ 32-45 წლის ასაკის ტანთხელი ქალები, რომლებიც კვირაში 11 საათის განმავლობაში ჩოგბურთს თამაშობენ, ყოველდღიურად 2417 კალორიას იღებენ, მათი ასაკის, ოდნავ ჭარბი წონის ქალები კი, რომლებიც შედარებით უმოძრაოდ არიან, 1490 კალორიას. 30-55 წლის ასაკის 50 მამაკაცმა, ადრე ცოტას რომ მოძრაობდნენ, ძუნძულით სირბილი დაიწყო. ერთი წლის შემდეგ აღმოჩნდა: ვინც მეტს დარბოდა, იმათ ჭამასაც უფრო მოუმატეს, და ამავე, დროს უფრო მეტად გახდნენ კიდეც.

ჰარვარდის უნივერსიტეტის 17 ათასი კურსდამთავრებულის გამოკვლევამ ცხადყო, რომ ფიზიკური აქტიურობა ასაკსრულ ადამიანებს სიცოცხლეს უხანგრძლივებს.

ვისაც გახდომა სურს, იმათ პირველ ეტაპზე უნდა შეამცირონ კალორიების მიღება (საკუთარი წონის გათვალისწინებით) დღეში 2500-დან 2000 კალორიამდე. ოღონდ მიღებული კალორიების რაოდენობა დღეში 1200-ზე ნაკლები არ უნდა იყოს — თორემ შეიძლება ჯანმრთელობას მიადგეს ზიანი.

უნდა შემცირდეს ცხიმების, ქოლესტერინის, კოფეინის, შაქრისა და მარილის მიღება. ამიტომ ნაკლებ უნდა ვჭამოთ მსუქანი ხორცი, კვერცხის გული, ცხიმმოუხდელი რძის პროდუქტები, უნდა ავკრძალოთ ალკოჰოლის სმა, უპირატესობა მივანიჭოთ ხილ-ბოსტნეულს, ბურღულეულს, თევზსა და ფრინველს, კვერცხის ცილას და ცხიმმოხდილ რძეს.

ასეთი დიეტა რამდენიმე თვეს უნდა დავიცვათ, ვიდრე წონაში დავიკლებთ, მერე კი სრულფასოვან კვებას დავუბრუნდებით.

მცირეკალორიან დიეტასთან ერთად აუცილებელია თანდათანობით, ფრთხილად დავიწყოთ რეგულარული ფიზიკური ვარჯიში. ვისაც სამსახურში ნაკლები მოძრაობა უწევს, იმან ჯობს ენერგიული სიარული დაიწყოს და თანდათან მოუმატოს ვარჯიშს. შემდგომ კი აუცილებლად სისტემატურად ივარჯიშოს, რათა დაიცვას მიღებული და დახარჯული კალორიების ბალანსი.

აკუპუნქტურა

ქვის ხანაში

ჩინეთი. ჩინეთის სახალხო მედიცინის აკადემიის ექსპედიციის წევრებმა აღმოაჩინეს ქვისგან დამზადებული ნემსი. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ აკუპუნქტურით მკურნალობა ჩინეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 10 ათასი წლის წინათ ყოფილა გავრცელებული. 3500 წლის წინათ უკვე ბრინჯაოს ნემსებით სარგებლობდნენ. მეცნიერთა აზრით, აკუპუნქტურის მეთოდებით მკურნალობა ჩინეთიდან აზიის ქვეყნებში ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში გავრცელდა, ხოლო ევროპა მას მხოლოდ XVI საუკუნეში გაეცნო.

ხელოვნური მწერები

აშშ, შვეიცარია. ამერიკელმა და შვეიცარიელმა მეცნიერებმა რენტგენის სხივების დასხივებით გამოიწვიეს დროზოფილას (ბუზის სახეობა) ზოგიერთი გენების მუტაცია და ამის შედეგად უჩვეულო მწერები მიიღეს.

დროზოფილას ერთ-ერთ მუტანტს ორის მაგივრად ოთხი ფრთა ეზრდება, მეორეს თავზე ულვაშების ნაცვლად ფეხები აქვს.

მხატვრის

ღიმილი



უსიტყვოდ. ლ. მარჯანიშვილის ნახატი.

ურბანისტულ საუკუნეში განსაკუთრებულ ფასსა და ხიბლს იძენს ცხენისა და მხედრის ოდინდელი თემა. ჩვენ გვენატრება პირველქმნილი მშვენიერებით ალბეჭდილი ბუნება, საცხენოსნო თუ საჭირითო ბილიკი, ნესტოებდაბერილი, აქოშინებული ცხენის ფლოქვთა თქარუნი; გვენატრება რბოლაში ამტყდარი „ქარიშხალი“, რომელიც მისდევს მერანსა და მის თავგანწირულ მხედარს; ამტვერებული გზა, ჟოკეების აზარტული შეჯიბრი და რიტმი, რომელიც ვერასოდეს მიიღწევა ასფალტზე. და თუ ვნების სიმძაფრე შენებაშია, წარუვალ და დაუვიწყარ სიამოვნებას ჰგვრის ადამიანს ცხენის ჭენება დროსა და სივრცეში...

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

ფინიში.

ი. ბაევის ფოტო.

ჭადრაკი

ასპარეზობენ ჭაბუკები

სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქში დასრულდა ჭაბუკთა I საკავშირო სპორტული ასპარეზობანი.

ბუშინ ლენინგრადში მოჭადრაკეებმა ბოლო ტურის გადადებული პარტიები დაამთავრეს. გთავაზობთ შედეგებს: საქართველო-უკრაინა— 3,5:4,5, რსფსრ-უზბეკეთი — 4,5:3,5, ბელორუსია-აზერბაიჯანი — 3:5. ამის შემდეგ დაჯამდა გუნდური პირველობის საბოლოო შედეგები და პირველ ექვსეულში კოლექტივები ასე განაწილდნენ: 1. უკრაინა — 23,5 ქულა, 2. რსფსრ — 22, 3. საქართველო—21,5, 4. ბელორუსია — 21, 5. უზბეკეთი— 17, 6. აზერბაიჯანი — 15 ქულა. საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდნენ თამაზ ტაბატაძე, კახა ჯანჯღავა, დავით ლობჟანიძე, ხვიჩა სუპატაშვილი, კახა შალამბერიძე, ქეთინო არახამია, ცირა მერეკლიშვილი და ქეთინო კახიანი.

გუშინვე კიევში დაამთავრეს ასპარეზობა სამბისტებმა. შეჯიბრების ბოლო დღეს საქართველოს სპორტსმენთაგან ოქროს მედლები მოიპოვეს დავით გაგუნაშვილმა (48 კგ) და ბადრი ბასილაშვილმა (56 კგ), ვერცხლისა — ვახტანგ ჯაფარიძემ (65 კგ), ბრინჯაოსი — კახაბერ ქევიძემ (75 კგ). გუნდურ ჩათვლაში ჩვენი სამბისტები მესამე საპრიზო ადგილზე გამოვიდნენ.

ოლიმპიური ჯილდო — ლევ იაშინს

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალის საპატიო სტუმარმა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა 27 ივლისს ოლიმპიური ორდენი გადასცა სახელგანთქმულ საბჭოთა მეკარეს, 1956 წლის ოლიმპიურ ჩემპიონს ფეხბურთში ლევ იაშინს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა იაშინს გადასცა მილოცვა, რომელიც მისთვის ოლიმპიური ორდენის მინიჭებასთან დაკავშირებით გამოგზავნა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა.

სატურნირო ორბიტა

წყალბურთი. ალმა-ათაში დამთავრებულ ჭაბუკ დინამოელთა საკავშირო შეჯიბრებაში თბილისელთა გუნდმა წარმატებით იასპარეზა და პირველობა მოიპოვა. ჩვენმა წყალბურთელებმა დაამარცხეს მასპინძლები (9:8), ლვოველები (13:12) და ერევნელები (12:7), ხოლო კიევისა და მოსკოვის კოლექტივებთან ფრედ დაამთავრეს მატჩები (7:7 და 12:12).

ფეხბურთი. მოსკოველ არმიელთა გუნდისა და დუშანბეს „პამირის“ მატჩით დაიწყო პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე ეტაპი. არმიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1. პირველ თორმეტ კოლექტივს შორის 29 ქულით ლიდერობს რიგის „დაუგავა“, ბათუმის „დინამო“ 21 ქულით მეთერთმეტე ადგილზეა.

[illegible]

გმირული დრეიფის დასასრული

ყინულმჭრელი „ვლადივოსტოკი“, 26 ივლისი. (საქინფორმის სპეც. კორ.). დამთავრდა სომოველების გმირული დრეიფი, რომელმაც 133 დღე გასტანა. დღეს 11 საათზე მოსკოვის დროით ყინულმჭრელი „ვლადივოსტოკი“, რომელმაც გადალახა მრავალწლოვანი ყინულის ბოლო ზოლი, მიუახლოვდა „მიხეილ სომოვს“ და გამოიხსნა იგი ყინულების ტყვეობიდან. ამ წუთებში „მიხეილ სომოვი“ ყინულმჭრელის მიერ გაყვანილი არხით მიცურავს.

ჟურნალისტთა სემინარი

[illegible]

რედაქტორის მოადგილე ა. გოგელია.

ბაზრობა გრძელდება

[illegible]

[illegible]

მოამბე

28 ივლისი

[illegible]

29 ივლისი

[illegible]

ჩვენი ტელეეკრანიდან

[illegible]

თბილისი

28 ივლისი

[illegible]

29 ივლისი

[illegible]